განკარგულება:**გ-49. 49243614**
თარიღი:**26/12/2024**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,, ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482436030, 25/12/2024) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ (დანართი თან ერთვის).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე..

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ა(ა)იპ „ბავშთა ინკლუზიური ცენტრი"

საშტატო ნუსხა		2025წელი	
№	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეული	განაკვეთის ღირებულება
	სულ	18.0	
1	დირექტორი	1	2,700
2	ბუღალტერი	1	1,186
2	შესყიდვების მენეჯერი	1	1,089
3	საქმის მწარმოებელი	1	847
4	სოც.მუშაკი	1	920
6	პედაგოგი სპეც.განათლებით	1	920
7	ხელოვნების პედაგოგი	1	920
8	პროფესიული განვითარების სპეციალისტი	1	920
9	ფსიქოლოგი	1	920
10	მეტყველების სპეციალისტი	1	920
11	პედაგოგის თამაშემწე	2	726
12	მზარეული	1	726
13	მზარეულის თანაშემწე	1	484
14	მძღოლი	1	968
15	დამლაგებელი	1	605
16	დარაჯი	2	424